მასშტაბი არქიტექტურაში

აქტუალობა

იმ მომენტიდან როცა ადამიანმა დაიწყო არქიტექტურული ობიექტების მშენებლობა დადგა ნაგებობის ადამიანთან, სხვა ნაგებობებთან და გარემომცველ ბუნებასთან თანაზომადობის საკითხი. პრობლემა მით უფრო მწვავეა ჩვენს რეალობაში, რეალობაში სადაც უპირველესი და უმნიშვნელოვანესია ეკონომიკური მაჩვენებელი, სადაც ნაგებობის მოგებამ მის თვითღირებულებას სამჯერ - ოთხჯერ უნდა გადააჭარბოს მიუხედავად იმისა მის გვერდით კაპელა რონშანი დგას თუ მცხეთის ჯვარი. დღეს უფრო მეტი ადამიანისთვის გახდა ხელმისაწვდომი განათლება, იმატა არქიტექტორთა რიცხვმა, უფრო მეტ ადამიანს აქვს საშუალება და გარკვეულწილად უფლებაც რომ გააკეთოს შეფასება, გააკრიტიკოს ან მოიწონოს ესა თუ ის არქიტექტურული ნაწარმოები. ასეთ პირობებში ნებისმიერი ქმედება, ნებისმიერი ჩარევა განუმეორებელ, ჩამოყალიბებულ ურბანულ სტრუქტურაში აღიქმება არაერთგვაროვნად. მაგრამ ამის მხოლოდ იმაზე დაბრალება რომ ეს გემოვნების საკითხია და ნებისმიერი ნაგებობა შეიძლება ერთს მოსწონდეს და მეორეს არა მცდარი იქნება. ამ მოსაზრებას ამყარებს ის ფაქტიც რომ მსოფლიოში არის ისეთი მაგალითები როგორიცაა მცხეთის ჯვარი, ათენის აკროპოლისი ან თუნდაც რონშანის კაპელა რომელიც ნებისმიერ მნახველს აღაფრთოვანებს. ჯვარი არის გარემოსთან, ბუნებასთან თანაზომვადობის ჰარმონიის სიმბოლო არქიტექტურაში. სწორედ ამიტომ ვფიქრობ საჭიროა საკითხისდამი მეცნიერული მიდგომა, პრობლემის რეტროსპექტულად განხილვა და სამომავლოდ სწორი დასკვნების გაკეთება.

ისტორიული ექსკურსი

ნებისმიერი პერიოდის არქიტექტურა გამოხატავს კონკრეტული პერიოდსა და კონკრეტულ სივრცეში მცხოვრები ადამიანების მსოფლმხედველობას მათ პრიორიტეტებსა და მოთხოვნილებებს. სწორედ ეს მოთხოვნილებები და აუცილებლობა აერთიანებდა ადამიანთა ჯგუფს საერთო მიზნის ირგვლივ და შედეგად გვაძლევდა „ერთგვაროვან“ არქიტექტურას. მაგალითები შეგვიძლია მოვიყვანოთ ქართული ხუროთმოძღვრებიდან. ოდა სახლებით განაშენიანებული მეგრული თუ იმერული სოფლები, ან თავდაცვითი მიზნით შექმნილი სვანური და ხევსურული კოშკები.

მათი ერთგვაროვნება და ერთსახოვნება ხაზს უსვამს აქ მცხოვრები ადამიანების თანასწორუფლებიანობას. სწორედ ეს არქიტექტურაა ეთნო არქიტექტურა, ხალხის არქიტექტურა, რომელიც შესისხლხორცებულია გარემოსთან, რელიეფთან და ზუსტად მიესადაგება ამ სივრცეში მცხოვრები ადამიანების ფსიქოტიპს. ზუსტად ეს განაშენიანება ქმნის კონკრეტული ადგილის არქიტექტურულ მასშტაბს, მის არქიტექტურულ - მხატვრულ გამომსახველობას, დროთა განმავლობაში კი იძენს ისტორიულ ღირებულებას. ამ ხაზიდან ნებისმიერი სახის გადახვევა არღვევს საერთო ქსოვილს და გაქცეული თვალივით გამორჩეულია. მიუხედავად ამისა მრავალ ქმედებასა და პროცესს მივყავართ მასშტაბის ნგრევასთან. მსოფლიოს მოსახლეობისა და მათი მოთხოვნილებების მუდმივი ზრდის პირობებში აუცილებელი ხდებოდა და ხდება ახალი ფუნქციისა და შინაარსის ნაგებობების შექმნა, (ერთ - ერთ უახლეს მაგალითად შეგვიძლია იუსტიციის სახლი მოვიყვანოთ) ურბანული სტრუქტურის განვითარება. ამ პროცესზე დაკვირვება და მისი გაანალიზება შეიძლება მოვახდინოთ თბილისის მაგალითზე. საქართველოს გასაბჭოების შემდგომ როცა დაიწყო ჩვენი დედაქალაქის მასობრივი რეკონსტრუქცია - განვითარების სამუშაოები, ურბანიზაციის დონის პირდაპირპროპორციულად გაიზარდა თბილისის ტერიტორია და ახალი უბნების რიცხვი. უფრო ადრეული და შემდგომში მეფის რუსეთის დროს არსებული თბილისის ერთ - ორ სართულიანი განაშენიანება და ქალაქის საერთო მასშტაბი იცვლება და დროთა განმავლობაში მკვეთრად იზრდება. ფაქტს მოწმობს ახალი დასახლებების აგების ქრონოლოგია: ვაკე - საბურთალოს რაიონში სამ - ხუთ სართულიანი სახლების აგებას მოზდევს დიღომი, ნუცუბიძის პლატო, გლდანი და სხვა დასახლებები ჩვიდმეტ სართულიანი განაშენიანებით.

ფსიქოლოგიური ანალიზი

მასშტაბის პრობლემებს ზემოაღნიშნული ფიზიკური პროცესების გარდა ადამიანის სულიერი მოთხოვნილებები და ფსიქოლოგიური ფაქტორებიც წარმოშობდა. როგორც კი საზოგადოებაში ჩნდება გამორჩეული, შთამბეჭდავი პიროვნება თუ მოვლენა ჩნდება მოთხოვნილება მისი თაყვანცემის მისი განდიდების და გამორჩევის. ეს მოთხოვნილება რათქმა უნდა ასახვას პოვებს არქიტექტურაში, ჩნდება განსხვავებული ფორმის და შინაარსის ნაგებობები. ამა თუ იმ ნაგებობის გარემომცველი განაშენიანებისგან გამორჩევის და მისი მნიშვნელობის ხაზგასმის მრავალი ხერხი არსებობს. შესაძლებელია მისი ფერით ან ფორმით ხაზგასმა. შედეგს იძლევა სიმეტრია, თავისი სადღესასწაულო შეხედულებით, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად ყველაზე ფართოდ გამოყენებადი უტყუარი, მარტივი და მძლავრი იარაღია ზომა, მასშტაბი, უფრო სწორედ კი ამ მასშტაბის ნგრევის ხარჯზე „თავის წარმოჩენა“. ამ ხერხის გამოყენების შესანიშნავ მაგალითებს ვხვდებით ჯერ კიდევ ქვის ხანის დროინდელ არქიტექტურაში. ამ პერიოდის ადამიანმა თავისი კულტის ან ისეთი მისტიური და მათთვის აუხსნელი მოვლენის პატივსაცემად, როგორიც სიკვდილია, შექმნა საკუთარ საცხოვრისზე დიდი, უფრო გრანდიოზული მეგალითური ნაგებობები ისეთი როგორიცაა დოლმენები და მენჰირები.

იმავე მიზნით ადამიანზე უფრო დიდის, ყოვლისშემძლის ღმერთების პატივსაცემად ყველა ეპოქაში იქმნებოდა მაშტაბური ტაძრები რომლებიც დომინირებდა გარემოზე.

ადამიანის მნიშვნელობას უსვამდა ხაზს მისი საცხოვრისის დიდი ზომა ან გრანდიოზული სამარხი სივრცეები რომლის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია პირამიდა. ამგვარი ქმედება უკვე ქმნიდა მასშტაბის პრობლემებს. დააწესებული ორმაგი სტანდარტების შედეგად ვიღებდით ერთი მხრივ ადამიანურ მასშტაბს და მეორე მხრივ მასზე გაბატონებულ „დიდკაცურ“ ან „ღვთიურ“ მასშტაბს, რაც არის პრეცედენტი რომელიც მომავალშიც წარმოშობდა მსგავს პრობლემებს.

მსჯელობა

არქიტექტურის განვითარებასთან ერთა უფრო და უფრი თვალსაჩინო ხდებოდა მისი ძალა. კაცობრიობის განვითარების იმ ეტაპზე როცა ტექნოლოგიურმა წინსვლამ შესაძლო გახადა უფრო მრავალფეროვანი ფორმების შექმნა ნაგებობას და მის მასშტაბს იყენებდნენ როგორც იდეის გამოხატვის ადამიანზე ზემოქმედების საშუალებას. „ქვეყნის ძლიერების შესაბამისი“ გრანდიოზული ნაგებობები გვხვდება რომაულ, აღორძინების ხანის და შემდგომი პერიოდის არქიტექტურაშიც, მაგრამ არქიტექტურის და უმეტეს შემთხვევაში მისი მასშტაბის როგორც მძლავრი იარაღის გამოყენების ხელოვნებამ პიკს მიაღწია ნაცისტურ სოციალისტური ქვეყნების სივრცეში.

საბჭოთა კავშირსა და გერმანიაში იმპერიალისტურმა ზრახვებმა დაჩრდილა აქამდე დომინირებული რელიგიური ფასეულობები და განხორციელება პოვა არქიტექტურაში. ამ პერიოდის ფაშისტური და სოციალისტური არქიტექტურა თავისი მსხვილი მასშტაბით, გრანდიოზული ფორმებით ამცრობდა რელიგიურ და ნაციონალურ კულტურულ ფასეულობებს.

საბჭოთა კავშირის სურვილებსა და მისწრაფებებს საუკეთესოდ გამოსახავს ოცდაათიან წლებში საბჭოსა და კომისარიატის შენობის საუკეთესო პროექტის გამოსავლენად მოსკოვში გამოცხადებული ორი კონკურსის შედეგები. ნაგებობის აგება დაიგეგმა დანგრეული ტაძრის ადგილას. გამარჯვებული ბ. იოფანის ი. ჟელტოვსკის და გ. ჰემილტონის პროექტი იმდენად მასშტაბური იყო რომ გამოიწვევდა მოსკოვის მთელი იერსახის ცვლას და ოთხმოცდაათი წლის შემდეგ დღევანდელ პირობებშიც კი ამ ქალაქის უმაღლესი ნაგებობა იქნებოდა. მის ზომებსა და მასშტაბებზე ლაპარაკისას მხოლოდ იმის თქმაც კმარა რომ ნაგებობას აგვირგვინებდა ასი მეტრი სიმაღლის ლენინის ქანდაკება. პროექტის დამთავრების შემთხვევაში მივიღებდით ერთ ერთი რომანიდან ცნობილი სოციალისტური პლაკატის განხორციელებას „დიდი ძმა ყოველთვის გიყურებს“. ეს პროექტი არ შეიძლება აღქმულ იქნას როგორც გამონაკლისი. სხვა საკონკურსო ნამუშევრების გასაოცარი მასშტაბები ერთობლიობაში გვიჩვენებს სოციალისტური არქიტექტურის იდეებსა და მიმართულებას.




ДВОРЕЦ СОВЕТОВ

მიუხედავად იმისა რომ ეს ნაგებობა არ აგებულა საბჭოთა მმართველების იდეის განხორციელება მაინც წარმატებით ხდებოდა. ამ მიზანმიმართული ქმედებების შედეგები და მაგალითები თბილისშიც მოგვეპოვება. „კომუნისტების მოსვლით მოხდა არქიტექტურული კანონების სივრცეში ფასეულობათა მონაცვლეობა. ტაძრების როლი თავის თავზე აიღო იდეოლოგიურმა ნაგებობებმა. ისინი გახდნენ მასშტაბურები და წამყვანები სივრცეში. ტაძრები ან დაინგრა როგორც გუნიბის მოედანზე ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი, ან დამცრობილ იქნა, როგორც ქაშვეთი, მის წინ აღმართული მთავრობის სასახლის გრანდიოზული ნაგებობით.“ ამ ქმედების უარყოფითი მხარე მხოლოდ ეკლესიის დანგრევა არ ყოფილა. ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი და მის ირგვლივ ჩამოყალიბებული სუბსტრუქტურა იდეალურად ეწერებოდა ქალაქის სივრცეში.

მთაწმინდის კალთის ძირში რუსთაველის გამზირის ნიშნულზე არსებული გუნიბის მოედანი ერთგვარ ყურეს ქმნიდა, მხატვრულად დამუშავებული რელიეფი კი ტაძარს სამი მხრიდან აკრავდა. მთავრობის სახლის ზედა კორპუსის მშენებლობამ რადიკალურად შეცვალა გარემო. მიუხედავად იმისა რომ იყო მცდელობა ქართული არქიტექტურის ხასიათის დაჭერისა ტერასების, ლოჯიების ორნამენტიკის გამოყენებით, ნაგებობამ მაინც უარყოფითი გავლენა იქონია გარემოზე. მოცულობამ დაამცრო გარემომცველი განაშენიანება და გადაკეტა ხედი მთაწმინდაზე. მოგვიანებით აგებულმა ქვედა კორპუსმა კი რუსთაველის როგორც თბილისისთვის შეუფერებელი ფასადური ქუჩის ანსამბლი საბოლოოდ დაასრულა.



თუმცა მსგავსი პრობლემა არ აწუხებდა მხოლოდ საბჭოთა კავშირის წევრ სახელმწიფოებს. „პროგრესულად მოაზროვნე“ დასავლეთის ქვეყნებშიც ვაწყდებით მსგავს პრობლემებს. „თუ ერი გრძნობს, განიცდის თავისი ნაციის დიდების წლებს, ის გამოხატავს ამას და ასახავს მას გარემომცველ სამყაროში. ამ შემთხვევაში მათი სიტყვა არის უფრო მძლავრი ვიდრე უბრალოდ ნათქვამი - ეს არის სიტყვა ქვისგან“ - ამბობდა ადოლფ ჰიტლერი და გერმანელი ერის როგორც მსოფლიოს გამაერთიანებლის ფუნქციის ხაზგასასმელად შეიმუშავა ბერლინის რეკონსტრუქციის პროექტი.

ორი ერთმანეთის გადამკვეთი ჩრდილო - სამხრეთისა და აღმოსავლეთ - დასავლეთის მაგისტრალის დაპროექტებისას არ იქნა გათვალისწინებული ქალაქის არსებული სტრუქტურა. მშენებლობის განსახორციელებლად ბერლინიდან განსახლებულ იქნა ასორმოცდაათ ათასამდე ებრაელი. მაგისტრალებს ასოც მეტრიანი სიგანე არ შეესაბამებოდა ბერლინის სპეციფიკას. ამ შემთხვევაში ქუჩა კი აღარ იყო ქალაქის სამსახურში, არამედ პირიქით „ბერლინის დიდების“ გამომხატველმა გამზირმა, რომელსაც ძველი რომის „ვია ტრიუმფალისთანაც“ აიგივებდნენ, ჩააყენა გარემომცველი სამყარო თავის სამსახურში. ამ პროექტის და ფიურერის ემოციების ილუსტრაციად, მის გვირგვინად შეიძლება აღვიქვათ ბერლინის და მსოფლიოს ცენტრად ჩაფიქრებული დიდების სასახლის პროექტი რომლის მთავარი „ღირსებაც“ მისი ზომები მისი გასაოცარი მასშტაბები უნდა ყოფილიყო.



გარემოზე უნდა გაბატონებულიყო ეს ნაგებობა როგორც ჰიტლერის ხორცშესხმული იდეა. თავად ქალაქის დამცრობის ხარჯზე თავისი გიგანტური ზომით ის წამყვანი ხდებოდა. შედარებისთვის მისი გუმბათის სიმაღლე ჩვიდმეტჯერ დიდი უნდა ყოფილიყო ვიდრე წმინდა პეტრტეს ტაძრის გუმბათისა მისი საერთო სიმაღლე სამას მეტრს აჭარბებდა მთავარი დარბაზის ტევადობა კი ასორმოცდაათ ათას ადამიანს უტოლდებოდა.

მსოფლიოსა და არქიტექტურის ისტორიის უახლესი მოვლენები და ტენდენციები შეიძლება განვიხილოთ საქართველოს მაგალითზე. საქართველოში ბოლო ოცდასამ წელიწადში მნიშვმელოვანი პოლიტიკურ - ეკონომიკური ძვრები მოხდა. საქართველოს გამოსვლა საბჭოთა სივრციდან, ამ უზარმაზარი ეკონომიკური სივრცის დეტალობიდან

დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გარდაქმნა და პროდასავლური კურსის არჩევა იყო ის მოვლენები რომლებიც ადრე თუ გვიან ასახვას პოვებდა არქიტექტურაში. დამოუკიდებლობის პირველ წლებში პასიურობა ეკონომიკური ფაქტორით აიხსნება. მომდევნო წლებში ვარდების რევოლუციამ გააჩინა პოლიტიკური ნება სიახლსკენ შედეგად თბილისში და საქართველოს რეგიონებში მივიღეთ ის რასაც ერთნი ქაოსს სხვები კი თანამედროვე არქიტექტურას უწოდებენ. განსაკუთრებით თვალსაჩინო და კარგი განხილვის ობიექტი ამ კონტექსტში შეიძლება გახდეს თბილის უახლესი არქიტექტურა.

ბოლო დროს თბილისში განხორციელებულმა და განსახორციელებელმა რამდენიმე პროექტმა საკმაოდ მწვავე გამოხმაურება პოვა როგორც არქიტექტორებში, ისე ზოგადად საზოგადოებაში. ასეთებია რიყეზე აგებული თეატრი, ასევე რიყის მიმდებარე ტერიტორიაზე აგებული მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების დამაკავშირებელი ხიდი, თბილისის იუსტიციის სახლი, ეგრეთ წოდებული იმელის შენობის ეზოში ასაშენებელი მრავალსართულიანი სასტუმროს შენობა.



ფორსირებულად მოხდა „ახალი“ არქიტექტურის თბილისში შემოჭრა. ეს იყო მცდელობა ახალი არქიტექტურული ქსოვილის, ნაგებობათა ახალი ქსელის შექმნისა. ძველი ქალაქში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე აგებული სამი ახალი ნაგებობა ანგრევს აქ არსებულ მასშტაბს, ცვლის თბილისისთვის, ყოველ შემთხვევაში მისი ამ ისტორიული ნაწილისთვის სახასიათო ესთეტიკას. ძველი თბილისის, კალა სეიდებადის უნიკალურ მხატვრულ გამომსახველობას ქმნის მთაწმინდის ფერდზე შეფენილი „ჭრელი“, სტიქიურად დაგეგმარებული საცხოვრისები და სიმაღლეებზე გაჩენილი აქცენტები, ისეთები როგორიცაა ნარიყალა მეტეხის ტაძარი, თაბორის მონასტერი. იუსტიციის სახლს, რიყის თეატრს და მშვიდობის ხიდს კი აქცენტები ქვედა დონეზე ჩამოაქვს, ფარავს თბილისისთვის ავთენტურ არქიტექტურას და აჩენს ახალ ორიენტირებს. სამივე ნაგებობის მასიური წყობა ერთგვარად უარყოფს ძველი ქალაქისთვის სახასიათო წვრილ მასშტაბს. მშვიდობის ხიდის მდებარეობა და ის ფაქტი რომ რიყის ტერიტორია 6-7 მეტრით ამაღლებულია აბსოლიტურად ცვლის თბილისის პირველყოფილ , მისი არქიტექტურის განმაპირობებელ ოროგრაფიას. „მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების დონეთა სხვაობას ათანაბრებს და ამგვარად სივრცეს ცვლის სიბრტყით“. ამგვარი ქმედებებით წინა პლანზე წამოწეულ იქნა არა ძველი თბილისი არამედ მისი ახალი ნაწილი ფოკუსი არა ისტორიულ ნაწილზე არამედ ახალ ნაგებობებზე სწორდება, რაც თბილისის იერსახის შეცვლისკენ გადადგმული დიდი ნაბიჯია.

დასკვნა

მსოფლიოში პერმანენტულად იცვლება შეხედულებები თაობებს გააჩნიათ განსხვავებული არგუმენტები და გემოვნება, იცვლება მმართველები ფული ყველა ეპოქაში ტოვებს კვალს, განსაკუთრებით თვალსაჩინოდ კი არქიტექტურაში. არქიტექტურა და არქიტექტურული მასშტაბი მძლავრი იარაღია იდეის სამსახურში.

მასშტაბი არქიტექტურული ფილოსოფიისა და სივრცულ გეგმარებით კონტექსტში ფუნდამენტური და უმთავრესი ვექტორია, რომელიც კარგად ასახავს იმ პერიოდის, იმ კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკურ და მორალურ - ეთიკურ რეალობას.